# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 494

"29" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის" მიერ ქ.თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის №28.19.1122 დადგენილების შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქ.თბილისში, კოსტავას ქ.№64-ში მდებარე ქონებიდან განსაზღვრული ფართების მესამე პირებისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების (გადაწყვეტილებების) პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისა და ამავე ხელშეკრულებებით (გადაწყვეტილებებით) განსაზღვრული პირობის (პირობების) შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.27.1469 განკარგულების დანართი 1-ით გათვალისწინებული მოიჯარეების მიერ (გარდა ი/მ ხვიჩა ჯიქია), ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკ"-თან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების პირობების, კერძოდ, 2015 წლის 13 ივნისამდე არსებული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, შესაბამისი ხელშეკრულებების დანართებით განსაზღვრული სარგებლობის პირობების თანახმად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებაზე, იმ პირობით, რომ დანართი 1-ით გათვალისწინებული მოიჯარეების (გარდა ი/მ ხვიჩა ჯიქია) მიერ მოხდება, შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ძირითადი საიჯარო ქირის (დავალიანება) გადახდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შპს „აურა 99"-ის მიერ 2016 წლის 31 იანვრამდე;

2. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.27.1469 განკარგულების

დანართი 1-ით გათვალისწინებული მოიჯარეებისთვის, შესაბამისი ხელშეკრულებებით (გადაწყვეტილებებით) განსაზღვრული პირობების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.27.1469 განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რედაქციით ცვლილების თაობაზე.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**